შპს ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლა

2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის
შესრულების ანგარიში

*** მოცემულ დოკუმენტში წარმოდგენილია შპს ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მაჩვენებლები.**

სტრატეგიული მიზანი: სკოლის მდგრადი და ეფექტური ფუნქციონირება

ადამიანური რესურსის განვითარება

გეგმიური პერიოდის მანძილზე, განხორციელდა თანამშრომელთა საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების გეგმის შედგენა. სკოლის პერსონალისთვის ჩატარდა ტრენინგები/სემინარები, მაღალკვალიფიციური ექსპერტების ჩართულობით.

სკოლის პერსონალის სამუშაო აღწერილობები განახლდა საჭიროებების გათვალისწინებით.

მოცემული ამოცანით გათვამისწინებული აქტივობების სტატუსი: შესრულებული.

ყოველწლიური თვითშეფასების შედეგებზე რეაგირება

სკოლაში განხორციელებული კოლმპექსური თვითშეფასების დროს გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად გადაიხედა და განახლდა ხარისხის უზრუნველყოფის, მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციისა და მოსწავლის კარიერული განვითარების მექანიზმები.

სკოლის შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების სისტემის სრულად გამართვლის მიზნით ჩატარდა ყველა დაგეგმილი სამუშაო.

მოცემული ამოცანით გათვამისწინებული აქტივობების სტატუსი: შესრულებული.

სტრატეგიული მიზანი: სკოლის კურიკულუმის განვითარება

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნობრივი კურიკულუმების განვითარება

სკოლაში დაგეგმილი პრაქტიკის შესაბამისად, ყოველი მომდევნო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა ეფუძნება გამოცდილების ანალიზს, რის შედეგადაც იხვეწება საგნობრივი კურიკულუმები.

მოცემული ამოცანით გათვამისწინებული აქტივობების სტატუსი: შესრულებული.

დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების განვითარება

სკოლაში დაგეგმილი პრაქტიკის შესაბამისად, ჩატარდა სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის კვლევა, რომლის შედეგადაც ჩამოყალიბდა დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი.

მოცემული ამოცანით გათვამისწინებული აქტივობების სტატუსი: შესრულებული.

სტრატეგიული მიზანი: ინფრასტრუქტურის განვითარება

სკოლის ახალი კამპუსის მშენებლობა და საჭირო რესურსებით უზრუნველყოფა

შემუშავდა, შესაბამის უწყებებს წარედგინა და ნებართვა გაიცა სკოლის ახალი კამპუსის მშენებლობაზე. გაფორმდა სამშენებლო პროცესის წარმართვისთვის საჭირო ყველა ხელშეკრულება. აქტიურად მიმდინარეობს შიდა დაგეგმარების პროექტზე მუშაობა.

მოცემული ამოცანით გათვამისწინებული აქტივობების სტატუსი: შესრულებული.

ინფრასტრუქტურის სამუშაოების წარმოება

აქტიურად მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მონიტორინგი.

მოცემული ამოცანით გათვამისწინებული აქტივობების სტატუსი: შესრულებული.

სტრატეგიული მიზანი: ინტერნაციონალიზაციის გაზრდა

საერთაშორისო პროგრამების დანერგვა

2024-2025 სასწავლო წელს შემუშავდა საგნის „ინგლისურენოვანი მეცნიერება - SCIENCE” კურიკულუმი I-II კლასებისთვის. ასევე შეირჩა და დამზადდა აღნიშნული საგნების ეფექტური სწავლებისთვის საჭირო ყველა სასწავლო რესურსი. საგანი „ინგლისურენოვანი მეცნიერება - SCIENCE” ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლის სასწავლო პროგრამაში დაინერგება 2025-2026 სასწავლო წლიდან.

მოცემული ამოცანით გათვამისწინებული აქტივობების სტატუსი: შესრულებული.